ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2015 წლის 26 თებერვალი

ქ.ცაგერი

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლის შესაბამისად , ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №54 დადგენილებაში (**www. matsne.gov.ge** 17/10/2014**წ. სარეგისტრაციო კოდი:** 010320040.35.116.016213) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.გ) მუნიციპალიტეტის გამგებელი როდესაც კონკურსი და ატესტაცია ტარდება როგორც საკრებულოს აპარატის, ისე გამგეობის მოხელეებისათვის“;

ბ) მე-7 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მუნიციპალიტეტის გამგებელი, როდესაც კონკურსი ან ატესტაცია ტარდება, როგორც საკრებულოს აპარატში, ისე გამგეობაში“;

გ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო კონკურსს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად დაწესებულების ხელმძღვანელის წინადადებით აცხადებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.“

დ) მე-13-ე მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. კონკურსის პროგრამას პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო საატესტაციო კომისია, დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.“

ე) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 16.

1.ტესტირება წარმოადგენს კონკურსანტთა პროფესიული ცოდნის დონისა და უნარების შემოწმებას ტესტების მეშვეობით.

2. ტესტირების მეთოდიკა, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები დგინდება კანონმდებლობის შესაბამისად.

3. 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობებზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსის სავალდებულო ეტაპის ან მოხელის ატესტაციის სავალდებულო ეტაპის - ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს მაქსიმალურ ქულათა წამყვანი საჯარო თანამდებობის მოხელესათვის 60%-ისოდენობით, უფროსი საჯარო თანამდებობის მოხელესათვის 55%-ს ოდენობით, უმცროსი საჯარო თანამდებობის მოხელესათვის 50%-ის ოდენობით.“

ვ) მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი;

„5. კომისიის წევრებს უფლება აქვთ გასაუბრების შედეგების შესაფასებლად გამოიყენონ დანართი № 2-ში მოცემული შეფასების სქემა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბაქარი ყურაშვილი**